

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა
ფედერაცია (ბაფი)

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

და

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2017 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი		
№	შინაარსი	გვ.
1	აუდიტორული დასკვნა	3
2	კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
3	კონდოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
4	კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
5	საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
6	კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები	9

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) გამგეობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე მოსაზრება

ჩავატარეთ ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს - ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციისაგან“ („ბაფი“) ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს - ფასს), ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების

შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

გარიგების პარტნიორი

ლაშა ვეფხვაძე

11/05/2018



**საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი)
აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

**კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარი)**

		<i>2017 წ.</i>	<i>2016 წ.</i>
ამონაგები	1)	1,430,178	1,200,760
სხვა შემოსავალი	2)	373,623	321,454
ცვლილებები მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		(4,078)	(31,891)
შესრულებული და კაპიტალიზებული სამუშაო		—	—
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შემენა		(96,133)	(90,097)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(893,831)	(873,418)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(42,120)	(47,639)
შემენილი მომსახურების ხარჯები		(335,309)	(295,282)
საკურსო სხვაობის ხარჯები		(675)	(22,383)
საგადასახადო ხარჯი		(7,081)	(7,337)
სხვა საოპერაციო ხარჯი	3)	(221,239)	(90,150)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		203,335	64,017
ფინანსური დანახარჯები		—	
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		203,335	64,017
მოგების გადასახადი		(1,729)	44,936
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		201,606	108,953
სათაო საწარმოს წილი		95,590	20,418
არამაკონტროლებელი წილი		106,016	88,535

კონდოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

აქტივები		31.12.2017	31.12.2016
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები, ნეტო	4)	685343	713169
არამატერიალური აქტივი	5)	24225	30562
გადავადებული საგადასახადო აქტივი		42582	40088
ინვესტიციები სხვა საწარმოებში		400	400
სულ გრძელვადიანი აქტივები		752550	784219
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	6)	69838	73915
მოთხოვნები და წინასწარი გადახდები	7)	249312	384978
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8)	1076662	839811
სულ მიმდინარე აქტივები:		1395812	1298704
სულ აქტივები:		2148362	2082923
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
ბაზის განვითარების ფონდი		1,454,866	1,434,797
გაუნაწილებელი მოგება		112,016	36,495
არამაკონტროლებელი წილი		415,799	397,982
სულ კაპიტალი და რეზერვები		1,982,681	1,869,274
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული მოგების გადასახადი		4905	5925
გადავადებული შემოსავლები	9)	38410	47559
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		43315	53484
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10)	113023	139864
საგადასახადო ვალდებულებები	11)	9343	20301
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		122366	160165
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2148362	2082923

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	2017 წელი	2016 წელი	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	1707332	1421603	12)
საწევრო შენატანები	164828	130133	
გაცემული დივიდენდი	(83790)	(80066)	
სხვა საოპერაციო შემოსავლები	108773	73977	
კურსთა შორის სხვაობა	6	(20178)	
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(139433)	(142966)	
გადახდილი ხელფასები	(767017)	(738821)	
გადახდილი საწევრო	(13527)	(12087)	13)
ადმინისტრაციულ და სხვა არასაოპერაციო ხარჯებზე გადახდები	(281003)	(299976)	14)
გადახდილი გადასახადები	(447711)	(400872)	15)
<i>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	248458	(69253)	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გრელვადიანი აქტივის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	0	0	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(11607)	(16439)	
<i>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	(11607)	(16439)	
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	236851	(85692)	
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	839811	925503	
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	1076662	839811	

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	ბაფის განვითარების ფონდი	არამაკონტროლებელი წილი	სულ
31.12.2015 ნაშთი	1450874	393727	1844601
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	20419	88535	108954
გაცემული დივიდენდი	0	(84280)	(84280)
31.12.2016 ნაშთი	1471293	397982	1869274
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	95590	106016	201606
გაცემული დივიდენდი	0	(88200)	(88200)
31.12.2017 ნაშთი	1566882	415799	1982681

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ პროფესიულ ორგანიზაციას (რეგისტრირებული კავშირი). ბაფის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 61. ბაფის საქმიანობა, ძირითადად, უკავშირდება ბუღალტერთა და აუდიტორთა მომზადებას, გადამზადებას, პროფესიულ სერტიფიცირებასა და განგრძობით განათლებას. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ბაფისა და მისი შვილობილი კომპანიის შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის“ წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. ინსტიტუტი ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას.

ბაფის ეკონომიკური საქმიანობა, ძირითადად, უკავშირდება ბუღალტერთა და აუდიტორთა მომზადებას, გადამზადებას, პროფესიულ სერტიფიცირებასა და განგრძობით განათლებას.

ბაფი საქმიანობას ახორციელებს შვილობილი კომპანიის შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის“, სათაო ოფისისა (ქ. თბილისი) და შემდეგი რეგიონალური და რაიონული ფილიალების მეშვეობით:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი;
- იმერეთის რეგიონალური ფილიალი;
- სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონალური ფილიალი;
- კახეთის რეგიონალური ფილიალი;
- რუსთავის რაიონული ფილიალი;
- ფოთის რაიონული ფილიალი
- გორის რაიონული ფილიალი

ბაფს წილობრივი მონაწილეობა (20%) აქვს ასევე იურიდიულ პირში - შპს „ქურნალი ბუღალტრული აღრიცხვა“.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ბაფმა მსს ფასს პირველად გამოიყენა 2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. წინა პერიოდებში ბაფი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად იყენებდა საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებულ მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებულ სტანდარტს. შესაბამისად 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ყოფილა წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხოვრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგება შედგება ბაფისა და მისი შვილობილი კომპანიის შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის“ ფინანსური ანგარიშგებისაგან. იგი ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

ბაფის შვილობილი კომპანიის შესახებ ინფორმაცია:

##	სახელწოდება	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის და საქმიანობის ადგილი	ფლობილი წილი/ხმის უფლების მქონე წილი (%)	
				31/12/2017	31/12/2016
1	შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი“	ბუღალტერთა მომზადება, გადამზადება	საქართველო	51	51

3. ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და შეფასებისას გამოყენებული მეთოდები

კონსოლიდაციის პრინციპები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას ბაფის ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად:

- გააერთიანებულია ბაფის და მისი შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით;
- გამორიცხულია შვილობილ საწარმოში ბაფის მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება და ბაფის წილი შვილობილი საწარმოს საკუთარ კაპიტალში;
- შეფასებული და ასახულია არამაკონტროლებელი წილი, კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში, ბაფის წილისგან განცალკევებით;
- შეფასებული და ასახულია არამაკონტროლებელი წილი კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივებში, ბაფის წილისაგან განცალკევებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 2-დან 10 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

11	ჯგუფების დასახელება	ცვეთის ნორმა %
1	ოფისის აღჭურვილობა	20-30
2	ავეჯი და სხვა ინვენტარი	25-50
3	სარტანსპორტო საშუალებები	10-15

სხვა საწარმოში მონაწილეობა ბალანსში წარმოდგენილია ნომინალური ღირებულებით.

მარაგი

მარაგები ბალანსში ასახულია შეძენის, დამზადების თვითღირებულებასა და ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებულ წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს შორის უმცირესი გასაყიდი ფასით. მარაგების შეფასებისას გამოყენებული იყო “ფიფო” მეთოდი.

მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

მოთხოვნები და წინასწარი გადახდები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით..

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები ასახულია იმ თანხით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ბალანსის შედგენიდან 12 თვეში. გრძელვადიანი ვალდებულებები წარმოადგენს გადავადებულ შემოსავლებს (რომელიც გრანტისა და შემოწირულობის სახით მიღებული აქტივების საბალანსო ღირებულების ტოლფასია) .

შემოსავლები

რეალიზაციიდან შემოსავლები აღიარებულია რისკების გადაცემის მომენტში. შემოსავლები შემცირებულია ფასდათმობებისა და დაბრუნებული რეალიზაციის თანხებით. შემოსავლები, როგორცაა ფულადი გრანტი, შემოსავალში ასახულია მათი გამოყენების მომენტში. არაფულადი აქტივის სახით მიღებული შემოსავლები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მათი გაყიდვისა და ცვეთის დარიცხვის შესაბამისად. საწევროები დარიცხულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღის მდგომარეობით.

ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია ირიცხება თვითღირებულების მოდელით. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში შეფასებულია დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით. ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის საგადასახდო მოგებას, აღიარდება გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს საგადასახადო მოგებას, ასევე ყველა გამოუყენებელ საგადასახადო ზარალთან, ან გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტთან მიმართებით. გადავადებული საგადასახადო აქტივების შეფასება ხდება მაქსიმალური შესაძლო თანხით, რომლის აღდგენაც უფრო მოსალოდნელია, ვიდრე არა, მიმდინარე საგადასახადო მოგებისა, თუ შეფასებული მომავალი საგადასახდო მოგების საფუძველზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის და მისი კორექტირება ხდება მომავალი საგადასახადო მოგების მიმდინარე შეფასების ასახვის მიზნით. ნებისმიერი კორექტირების თანხა აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

გადავადებული გადასახადი გაიანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც, სავარაუდოდ, გავრცელდება იმ პერიოდების საგადასახადო მოგებაზე (საგადასახადო ზარალზე), როდესაც საწარმო მოელის გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებას, ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვას და უკვე ძალაში შესულია, ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო თარიღისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაში მოგების გადასახადთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენება მხოლოდ ჯგუფის სათავო ერთეულისათვის, რადგან შვილობილი საწარმოს მიმართ გამოყენებულია განსხვავებული მიდგომა მოგების გადასახადის ხარჯად აღიარებისათვის. შვილობილ საწარმოში მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება დივიდენდის განაწილებისა და გადახდის მომენტში.

მსს ფასს სტანდარტზე გასასვლას არ გამოუწვევია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესადარის მაჩვენებლებში არსებითი ცვლილებები, გარდა იმისა, რაც მოტანილია მე-16 შენიშვნაში

4. სრული შემოსავლის ანგარიშების დანართები

1. ამონაგები

შენიშვნა ¹

საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაციიდან ნეტო ამონაგები შემდეგნაირად იშიფრება:

ამონაგები

დასახელება	2017 წ	2016 წ
რეალიზაცია	121198	105445
საწავლო პროცესი	1081458	960985
სხვა საოპერაციო შემოსავალი	227522	134330
სულ ამონაგები:	1430178	1200760

რეალიზაცია მოიცავს, როგორც საქონლის ისე საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს. სასწავლო პროცესის შემოსავლებში გაერთიანებულია ბაფისა და შპს პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ყველა ტიპის ტრენინგებიდან და გამოცდებიდან მიღებული ამონაგები.

2. სხვა საწარმოო შემოსავლები

შენიშვნა ¹ 2

სხვა შემოსავლების შემადგენლობაში გაერთიანებულია შემოსავლები, რომელიც სხვადასხვა წყაროებიდანაა შემოსული. მათი შემადგენლობა შემდეგია:

3. სხვა საოპერაციო შემოსავლები

დასახელება	2017წ	2016წ
კორპორაციული წევრების საწევრო	94350	131080
ფიზიკური პირების საწევრო	142473	108184
გაწევრიანების საფასური	4185	3740
დივიდენდი	0	263
საპროცენტო შემოსავალი	77033	75048
შემოწირულობა და გრანტებით შეძენილი წიგნების რეალიზაციიდან	3583	0
შემოწ.და გრანტებით შეძენილი ძ.ს. ცვეთა	247	0
არასასარჩელო შემოსავალი	51746	1800
შემოწირულობა	0	0
კურსთა შორის სხვაობა	6	1339
სულ სხვა საწარმოო შემოსავლები:	373623	321454

4. სხვა საოპერაციო ხარჯი

შენიშვნა 13

სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს წევრებთან დაკავშირებულ ხარჯებსა და არასაოპერაციო ხარჯებს

სხვა საოპერაციო ხარჯი

დასახელება	2017 წ	2016 წ
გადახდილი საწევროები	13527	11983
ჩამოწერილი საწევროები	175990	307
ჩამოწერილი ძირ.საშუალებების საბალანსო ღირებულება	1486	98
ქველმოქმედება და დახმარება	4713	1743
უიმედო ვალი	11143	6369
არასაოპერაციო ხარჯი	1100	1249
წარმომადგენლობითი ხარჯი	638	2272
გადახდილი არარეზ.იურ.პირის საშემოსავლო	1128	4348
მიღებ.დივიდენდის საშემოსავლო 5%	4590	4399
წევრთა ყრილობის ხარჯები	6924	57382
სულ სხვა საწარმოო ხარჯი:	221239	90150

5. ბალანსის ახსნა-განმარტებები

გრძელვადიანი აქტივები

1) ძირითადი საშუალებები

შენიშვნა 14

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.17	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.16
	შემენის ღირებულება				
1	ბიბლიოთეკა	9284	0	698	9982
2	ოფისის აღჭურვილობა	175435	7161	24065	192339
3	ავეჯი და ინვენტარი	149525	2281	4874	152118
4	სატრანსპორტო საშუალება	48,739	-	-	48,739
5	შენობა -ნაგებობები	662887	-	-	662887
	ჯამი	1045870	9442	29637	1066065
	ცვეთა	ნაშთი 31.12.17	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.16
1	ბიბლიოთეკა	2000	477	-	1523
2	ოფისის აღჭურვილობა	139774	15202	25211	149783
3	ავეჯი და ინვენტარი	114368	8804	4685	110249
4	სატრანსპორტო საშუალება	30000	4,800	-	25200
5	შენობა -ნაგებობები	74385	8244	-	66141
	ჯამი	360527	29283	29896	352896
	საბალანსო ღირებულება	685343			713169

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით. აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე არ მომხდარა.

2) არამატერიალური აქტივები

შენიშვნა 15

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.16	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.15
	შემენის ღირებულება				
1	საბუღალტრო პროგრამა "ორისი"	3746	-	616	4362
2	ვიდეო ლექციების ადმინისტრირების პროგრამა	5000	-		5000
3	ვიდეოლექციები	23440	-	-	23440
4	პროგრამა ICS	4450	-	-	4450
5	ლიცენზია Strados Studio	6019	-	-	6019
	ჯამი	42655	-	616-	43271

	ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.17	დარიცხვა	ჩამოწერა	ნაშთი 31.12.16
1	საბუღალტრო პროგრამა "ორისი"	2741	251	618	3108
2	ვიდეო ლექციების ადმინისტრირების პროგრამა	1499	500	-	999
3	ვიდეოლექციები	9115	4693	-	4422
4	პროგრამა ICS	3080	230	-	2850
5	ლიცენზია Strados Studio	1995	665	-	1330
	ჯამი	18430	6339	618	12709
	საბალანსო ღირებულება	24225			30562

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

მიმდინარე აქტივები

შენიშვნა 16

მარაგი შედგება შემდეგი ძირითადი ჯგუფებისაგან:

1. მარაგი

დასახელება	თანხა	
	2017წ	2016 წ
საქონელი, აუდიტის სტანდარტები	294	843
ორისის პროგრამა	8584	1724
მზა პროდუქცია, წიგნები	50685	69180
სხვა მარაგი	10275	2168
სულ მარაგი:	69838	73915

საქონლის ნაშთის შემადგენლობაში გაერთიანებულია ბაფში შემოწირულობის სახით მიღებული წიგნები და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა "ორისი". მზა პროდუქციის ნაშთში - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ხარისხის კონტროლისა და აუდიტის სტანდარტები და ACCA სახელმძღვანელოები. სხვა მარაგში – ბაფისა და შპს პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის საკანცელარიო ნივთებისა და საწვავის ნაშთი.

2. მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

შენიშვნა 17

დებიტორულ დავალიანებას გააჩნია შემდეგი სტრუქტურა:

დასახელება	2017 წ	2016 წ
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახ.	19761	38991
მოთხოვნები წევრებთან	356371	348894
საექვო მოთხოვნების (საწევრო) კორექტირება	-180185	-69013
მოთხოვნები პერსონალთან	35	250
გაცემული სესხი	37415	52894
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	5399	7990
წინასწარ გაწეული ხარჯები		0
წინასწარ გადახდილი გადასახადები	10516	4972
სულ მოთხოვნები და წინასწარი გადახდები:	249312	384978

3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

შენიშვნა 18

ბაფისა და პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის ფულადი სახსრები განთავსებულია საქართველოს ბანკებში ეროვნული და უცხოური ვალუტის სახით, ქ. თბილისის და ფილიალების ოფისის ადგილმდებარეობის ბანკებში. მათი სტრუქტურა შემდეგია:

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

დასახელება	2017 წ	2016 წ
ნაღდი ფული სალაროში	941	55
ეროვნული ვალუტა ბანკში	1075675	828807
უცხოური ვალუტა ბანკში	46	10949
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1076662	839811

უცხოურ ვალუტაში კონვერტირების პრაქტიკა გამოიყენება ეროვნული ვალუტის გაუფასურებიდან მოსალოდნელი ზარალის თავიდან აცილების მიზნით.

გადავადებული შემოსავლები

შენიშვნა 19

გადავადებული შემოსავლების მუხლი აერთიანებს შემდეგ სამომავლო შემოსავლებს:

გადავადებული შემოსავლები

დასახელება	2017 წ	2016 წ
მომავალი წლის ფინანსური შემოსავალი	38410	43729
გრანტით შეძენილი ძირ.საშუალებები		19
შემოწირული წიგნები		615
შემოწირული ძირითადი საშუალებები		229
გრანტით გამოცემული წიგნები		2967
	38410	47559

გრანტით შეძენილი და შემოწირული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შემოსავალში აიღება ცვეთის დარიცხული თანხის შესაბამისად, ხოლო შემოწირული და გრანტის სახსრებით გამოცემული წიგნები – რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

შენიშვნა 110

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სტრუქტურა:

დასახელება	2017 წ	2016 წ
მოწ.და მომსახ.წარმოშობილი ვალდებულებები	7153	14409
მიღებული ავანსები	97967	121717
გადასახდელი ხელფასები	1600	0
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	20	0
სხვა ვალდებულებები	6283	3738
	113023	139864

საგადასახადო ვალდებულებები

შენიშვნა 111

საგადასახადო ვალდებულებების მუხლში ჩართულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ბალანსის შედგენის თარიღისათვის ამოწურული არ არის. მათი სტრუქტურა შემდეგ სურათს იძლევა:

საგადასახადო ვალდებულებების სტრუქტურა:

დასახელება	2017 წ	2016 წ
გადასახდელი მოგების გადასახადი	0	479
გადასახდელი ქონების გადასახადი	0	0
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	400	4624
გადასახდელი დღგ	8943	15198
	9343	20301

6. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების დანართები

შენიშვნა ¹ 12

1. კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები

დასახელება	2017 წ	2016 წ
ლიტერატურის რეალიზაცია	120445	99614
სწავლებაზე და სერთიფიც.მიღ.თანხები	1016960	909672
ACCA გამოცდა	283062	260247
დებიტორული დავალიანების დაფარვა	18147	11070
ორისის ინსტალაცია	147527	112167
ფასს თარგმნის	81478	0
მიღებული ავანსები	39713	28833
სულ კლიენტებიდან მიღებული თანხები:	1707332	1421603

შენიშვნა ¹ 13

2. გადახდილი საწევრო

დასახელება	2017 წ	2016 წ
ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში გადახდილი საწევრო	13713	12087

საერთაშორისო ორგანიზაციებში /ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია/ გადახდილი საწევრო გადასახადი

შენიშვნა ¹ 14

3. ადმინისტრაციულ და სხვა არასაოპერაციო ხარჯებზე გადახდილი თანხები:

დასახელება	2017 წ	2016 წ
საიჯარო ქირა	132283	110487
კომუნალური	22417	21422
სასწავლო პროცესის ადმ.მომსახურება	2676	6160
ვიდეოლექციების სერვერის მომსახურება	2400	2400
ლიტერატურის თარგმნა და გამოცემის მომსახურება	60994	15965
სისტემა "კოდექსი"-ს განახლება	855	680
როიალტი	16505	10165
მივლინება	10293	5090
რეკლამა	3555	4152
ქსეროასლის გადაღება	615	132
კომპიუტერის ხარჯები	316	2050
წარმომადგენლობითი ხარჯები	639	696

ბანკის მომსახურება	1963	2224
ქველმოქმედება	4413	1753
ყრილობის და კონფერენციის	6606	57173
ავტომანქანის მომსახურების ხარჯი	1915	4751
აუდიტორული მომსახურება	4900	3956
სემინარი კორპორაციული წევრებისათვის	3025	45326
თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება	1070	560
რემონტის სამუშაოების ანაზღაურება	2512	4250
კურსთაშორის სხვაობა	639	31
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	412	553
სულ:	281003	299976

4. გადახდილი გადასახადები

შენიშვნა ¹ 15

დასახელება	2017 წ	2016 წ
მოგების გადასახადი	6678	20760
ქონების გადასახადი	7336	7658
გადასახდელი დღგ	223239	171884
საშემოსავლო გადასახადი	210458	200570
სულ გადასახადები:	447711	400872

შენიშვნა ¹ 16

შვილობილი საწარმოდან დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლები

შვილობილი საწარმოდან საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციაში დივიდენდის სახით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა: 2016 წელს 87,720 ლარი; 2017 წელს 91,800 ლარი;

შენიშვნა ¹ 17

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციაში უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირის მთლიანმა კომპენსაციამ შეადგინა: 2016 წელს 69505 ლარი; 2017 წელს 70000 ლარი.

შვილობილი კომპანიის შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის“ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირის მთლიანმა კომპენსაციამ შეადგინა: 2016 წელს 54100 ლარი; 2017 წელს 54100 ლარი.

მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის გავლენა კონსოლიდირებული შემოსავლების შესადარის მონაცემებზე

	მსს ფასს-ზე გადასვლის ეფექტი	2016 წ. მსს ფასს სტანდარტით
ამონაგები		1200760
სხვა შემოსავალი		321454
ცვლილებები მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		-31891
შესრულებული და კაპიტალიზებული სამუშაო		0
სასაქონლო-მატერიალური ფასეულების შეძენა		-90097
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		-873418
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		-47639
შეძენილი მომსახურების ხარჯები		-295282
საკუროს სხვაობის ხარჯები		-22383
საგადასახადო ხარჯი		-7337
სხვა საოპერაციო ხარჯი		-90150
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		64017
ფინანსური დანახარჯები		
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		64017
მოგების გადასახადს ხარჯი/შემოსავალი	40559	44935.65
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		108953
სათაო სუბიექტის წილი		20417
არამაკონტროლებელი წილი		88535

მსს ფასს სტანდარტების პირველად გამოყენების გავლენა ფინანსური მდგომარეობის შესადარის მონაცემებზე

ქვემოთ მოტანილია მსს ფასს სტანდარტების პირველად გამოყენების გავლენა ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგების შესადარის მაჩვენებლებზე. ინფორმაცია მოტანილია მხოლოდ შესადარის მაჩვენებლებზე გავლენის განხილვის მიზნით, რადგან წინა პერიოდში გამოყენებული სტანდარტები არ მოითხოვდა ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციას და შესაბამისად, ბაფს არ ჰქონია კონსოლიდირებული ანგარიშგება წარდგენილი.

**მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის გავლენა კონსოლიდირებული
ფინანსური მდგომარეობის შესადარის მონაცემებზე**

	01.01.2016		31.12.2016	
	მსს ფასს-ზე გადასვლის ეფექტი	2016 წ. მსს ფასს სტანდარტით	მსს ფასს-ზე გადასვლის ეფექტი	2016 წ. მსს ფასს სტანდარტით
ძირითადი საშუალებები, ნეტო		742094		713,169
არამატერიალური აქტივი		27476		30,562
ინვესტიციები სხვა საწარმოებში		400		400
გადავადებული საგადასახადო აქტივი	223	223	39,866	40,088
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		105806		73,915
მოთხოვნები და წინასწარი გადახდები		277508		384,978
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		925503		839,811
სულ აქტივები:		2,079,010		2,082,923.3
ბაფ-ის განვითარების ფონდი	-6396	1,481,288	40,559	1,434,797
გაუნაწილებელი მოგება		-30414		36,495
არამაკონტროლებელი წილი		393727		397,982
გადავად.მოგების გადასახადი	6618	35142	-693.15	5,925
გადავადებული შემოსავლები		44721		47,559
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		133924		139,864
საგადასახადო ვალდებულებები		20621		20,301
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები				
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,079,010		2,082,923.3

აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაქვეყნებლად ხელმოწერილია 2018 წლის 11 მაისს.

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

მთავარი ბუღალტერი
ქეთევან აბესალაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი
ლავრენტი ჭუმბურიძე